№37
სექტემბერი 2016

112-ის დროით

„112"-ის დეპარტამენტისთვის, სექტემბრის თვე საკმაოდ საინტერესო და დატვირთული იყო. განხორციელდა სხვადასხვა პროექტი, რომელსაც ვრცლად გაგაცნობთ.

პროექტის - „112-ის შესახებ ინფორმირებულობის დონის გაზრდა არარეზიდენტებში", ფარგლებში „112"-ს სხვადასხვა ქვეყნის ელჩები ესტუმრნენ.

კერძოდ, სექტემბერში, „112"-ს ევროკავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთისა და შვედეთის ელჩები ესტუმრნენ. შეხვედრები სამუშაო რეჟიმში გაიმართა.

26 სექტემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტროში, გაიმართა პრეზენტაცია, სადაც „112"-მა სამი მაღალტექნოლოგიური პროექტი წარმოადგინა. ღონისძიებას ესწრებოდა შინაგან საქმეთა მინისტრი, გიორგი მღებრიშვილი. აღსანიშნავია, რომ შს მინისტრმა „112"-ის თითოეულ თანამშრომელს, გაწეული შრომისთვის მადლობა გადაუხადა.

ბოლოს, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა მიიღოთ ინფორმაცია „112"-ის მასშტაბური და უმნიშვნელოვანესი პროექტის - ალტერნატიული ცენტრის შესახებ.

პატივისცემით,

ჟურნალის რედაქცია

რედაქტორი ლიკა ალადაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, სოფო ალექსიძე, ნატალია გელაშვილი, სალომე გელუტაშვილი, ნინო ეკიზაშვილი, მარიამ ჯმუხაძე, მარიამ ნოზაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

01 „112"-მა სამი მულტიტექნოლოგიური პროექტი დანერგა 83.4-6

02 „112"-ის ახალი პროექტების ფუნქციონალი 83.7-9

03 გიორგი ბიჭაშვილი „112"-ის ახალი პროექტების შესახებ 83.10

04 „112"-ის საპილოტე პროექტში „eCall Georgia" - დათა ქაჯაია ჩაერთო 83.11

05 „112"-ის საინფორმაციო კამპანიაში დიპლომატიური კორპუსი ჩაერთო 83.12

06 შსს საჯარო სკოლებში უსაფრთხოების საგანმანათლებლო კამპანიას იწყებს 83.13

07 „112"-ის ალტერნატიული ქოლ-ცენტრი..... 83.14-15

08 ალა ჯალილი 83.17

09 მაშველი 83.18

10 მადლობა გადარჩენისთვის.... ..... 83.19

11 დაპატიმრების უცნაური ფაქტები 83.21

01 „112“-მა სამი მულტიტექნოლოგიური პროექტი დანერგა

2016 წლის 26 სექტემბერს, შსს-ს ადმინისტრაციულ შენობაში „112“-მა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სამი ახალი პროექტის: „მობილური აპლიკაცია“, „eCall Georgia“ და „პროგრამა საპატრულო ეკიპაჟებისთვის“ პრეზენტაცია გამართა.

ღონისძიებას შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი მღებრიშვილი, შს სამინისტროს დეპარტამენტების ხელმძღვანელები, თბილისის მუნიციპალიტეტის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„-ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვისა და განვითარების გარეშე პროგრესი წარმოუდგენელია. ამდენად, საზოგადოების უსაფრთხოების მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტრო ორიენტირებულია ტექნოლოგიურ განვითარებაზე. ჩვენ მუდმივად ვსწავლობთ მსოფლიოში არსებული საპოლიციო საქმის განვითარების ბოლო ტენდენციებსა და საუკეთესო პრაქტიკას, ვახდენთ მათ დამუშავებას და ჩვენს გამოწვევებთან, ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანებთან მისადაგებას.

„112“-ის საქმიანობა ძირითადად სწორედ ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული. ამდენად, ცენტრის მთავარი პრიორიტეტი თანამედროვე ტექნოლოგიებზე დამყარებუ-

ლი პროექტებია. ეს პროექტები ბევრად მობილურს ხდის „112“-ის მომსახურებას და კიდევ უფრო მეტად ხდება მომხმარებელის ინტერესებსა და მოთხოვნებზე ორიენტირებული", - განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა, გიორგი მღებრიშვილმა.

პრეზენტაციაზე მოწვეულმა სტუმრებმა „112“-ის ახალი პროექტების ფუნქციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

მიმდინარე წლის ნოემბრიდან „112“ უკვე მთელი საქართველოს მასშტაბით აამოქმედებს მობილურ აპლიკაციას, რომელიც მოქალაქესა და გადაუდებელი დახმარების ნომრის ოპერატორს შორის უმოკლეს დროში კავშირის დამყარებისა და ადგილმდებარეობის დაუყოვნებლივ განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა. მობილური აპლიკაცია ჯერ მხოლოდ მსოფლიოს 13 ქვეყანაშია დანერგილი და ამიერიდან იგი საქართველოს მოქალაქეებისთვისაც ხელმისაწვდომი იქნება. აპლიკაცია უფასოა, სამენოვანი და გააჩნია IOS-ისა და Android-ის პლატფორმების მხარდაჭერა. აპლიკაცია, ამ ეტაპზე, ტესტირების რეჟიმშია.

შსს-ს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრმა ევროკავშირის ინიციატივით შემუშავებული, საპილოტე პროექტი - eCall Georgia დანერგა, რაც ავტოსაგზაო შემთხვევისას, სატრანსპორტო საშუალებაში წინასწარ ჩამონტაჟებული სისტემის (In-Vehicle System, IVS) მეშვეობით, გადაუდებელი დახმარების ნომერზე ავტომატური განგაშის სიგნალის გაგზავნას გულისხმობს, ზუსტი ადგილმდებარეობის მითითებით.

„112“-მა მესამე, ახალი პროექტი, ინფორმაციის ვიზუალური მიმოცვლის მიზნით, სპეციალურად საპატრულო ეკიპაჟებისთვის შექმნა. საპატრულო ეკიპაჟებში განთავსებულ პორტატულ კომპიუტერებში ჩაწერილი პროგრამა „112“-ში შესული შეტყობინების შესახებ ეკიპაჟის დეტალურ და მყისიერ ინფორმირებას უზრუნველყოფს. ანალოგიური პროგრამა უახლოეს მომავალში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისთვისაც დაინერგება.

დასავლური სტანდარტების, თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებული ახალი პროექტები „112“-ის მომსახურებას კიდევ უფრო გააუმჯობესებს, საგანგებო შემთხვევებზე რეაგირების დროს საგრძნობლად შეამცირებს და მოქალაქეთა უსაფრთხოების ხარისხს მნიშვნელოვნად გაზრდის.

02 „112"-ის ახალი პროექტების ფუნქციონალი

მობილური აპლიკაცია

მობილური აპლიკაციის მთავარი უპირატესობა: ადგილმდებარეობის დადგენა და შესაბამისი კოორდინატების გაგზავნა ცენტრში

აპლიკაციის მეშვეობით „112"-თან დაკავშირება შესაძლებელია:

- ზარის განხორციელებით - პარალელურად ცენტრში კოორდინატების გაგზავნით
- ოპერატორთან მიმოწერით (ჩატი)
- ჩუმი განგაშით (SOS)- აპლიკაციის მეშვეობით შესაძლებელია განგაშის სიგნალისა და კოორდინატების გაგზავნა „112"-ში

მნიშვნელოვანია, რომ მოკლე ტექსტური შეტყობინების სახით (SMS) მოქალაქეს შეუძლია კოორდინატები გააგზავნოს „112"-ში, მაშინაც, კი როცა ინტერნეტ სერვისი მიუწვდომელია.

აპლიკაციით სარგებლობისთვის აუცილებელია:

- საქართველოში მოქმედი მობილური ოპერატორების ქსელში ჩართული ტელეფონის ნომერი (ნომერი უნდა იყოს ორმხრივად ჩართული)
- გააქტიურებული GPS-სერვისი

აპლიკაცია უფასოა, გააჩნია IOS-ის და Android-ის პლატფორმების მხარდაჭერა და ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ და რუსულ ენებზე.

პროგრამა საპატრულო ეკიპაჟებისთვის

„112"-ის მიერ შეიქმნა პროგრამა საპატრულო ეკიპაჟებისთვის, რომელიც ოცმეთაურებს და ათმეთაურებს დეტალურ ინფორმაციას აწვდის გადაუდებელ შემთხვევებთან დაკავშირებით.

გადაუდებელი დახმარების შესახებ შეტყობინება სრულად გამოუჩნდება შესაბამის კვადრატზე მოძრავ ყველა ეკიპაჟს პორტატულ კომპიუტერებში.

პროგრამის უპირატესობები:

- შეტყობინების ელექტრონულად გადაცემა
- ვერბალური კომუნიკაციის დროის შემცირება
- ეკიპაჟის ინფორმირება დამატებითი საგანგებო სამსახურების საჭიროების შესახებ
- ინფორმაციის მიწოდება უფრო სწრაფად და სრულყოფილად
- „112"-ში დამატებითი ინფორმაციის შემოსვლის შემთხვევაში, ეკიპაჟთან ინფორმაციის ავტომატურად განახლება

შეტყობინების გადაცემის საშუალებები:

- რაცია
- სატელეფონო კავშირი
- ვიზუალური სახით ინფორმაციის გადაცემა

ანალოგიური პროგრამა უახლოეს მომავალში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადებისთვისაც დაინერგება.

eCall Georgia

„eCall Georgia“ წარმოადგენს პროექტს, რომელიც გულისხმობს ავტოსაგზაო შემთხვევისას „112“-თან დაკავშირების შესაძლებლობას, როგორც მანუალურ, ასევე ავტომატურ რეჟიმში.

ავტომატური - ავტოსაგზაო შემთხვევისას ავტომატურად იგზავნება განგაშის სიგნალი „112“-ში კოორდინატების დაფიქსირებით

მანუალური - ღილაკზე თითის დაჭერით შესაძლებელია „112“-თან დაკავშირება და სურვილის შემთხვევაში კოორდინატების ცენტრში გადაგზავნა

„112“-ის ახალი სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია ავტომანქანაში ჩამონტაჟებული იყოს IVS (In-Vehicle System) სისტემა, რომლის ინსტალაცია შეუძლია ქართულ ბაზარზე არსებულ სხვადასხვა კომპანიას. (მაგ.: GeoGPS, MyGPS და ა.შ)

სერვისი უფასოა.

03 გიორგი ბიჭაშვილი „112“-ის ახალი პროექტების შესახებ

შინაგან საქმეთა სამინისტროს „112“-ის დეპარტამენტის საქმიანობა ძირითადად ტექნოლოგიებზეა დამოკიდებული. ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ ცენტრის ამ მიმართულებით განვითარებაზე. სწორედ, დღევანდელი ჩვენი ღონისძიების მთავარ მიზანს წარმოადგენს გაგაცნოთ თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებული სამი ახალი პროექტი, რომელიც ხელს შეუწყობს გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის დროის შემცირებას.

მინდა აღვნიშნო, რომ საწყის ეტაპზე „112“-ში დარეკვა შესაძლებელი იყო მხოლოდ ფიქსირებული ან მობილური ტელეფონით. შეუძლებელი იყო დაკავშირება ისეთი ადგილებიდან, სადაც არ იყო მობილური ოპერატორის დაფარვის ზონა. ასევე გადაუდებელი დახმარების ნომერზე დაკავშირება დამოუკიდებლად არ შეეძლოთ სმენადაქვეითებულ პირებს. დღეს „112“-თან დაკავშირება შესაძლებელია უკვე 8 სხვადასხვა არხით.

გიორგი ბიჭაშვილი

შსს სსიპ „112“-ის დირექტორი

04

„112"-ის საპილოტე პროექტში „eCall Georgia" - პროფესიონალი ავტომრბოლელი და ევროპის ჩემპიონი დათა ქაჯაია ჩაერთო

დათა ქაჯაია: - „ძალიან მნიშვნელოვანი და აუცილებელი სიახლე დაინერგა „112"-ში, რაც ითვალისწინებს იმას, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის დროს სიგნალი ავტომატურად შევა ცენტრში. მიუხედავად იმისა, რომ მე ვარ პროფესიონალი ავტომრბოლელი და ყოველთვის ვიცავ საგზაო მოძრაობის წესებს, ავტოსაგზაო შემთხვევისგან მაინც არავინ არის დაზღვეული. ამიტომ, გადავწყვიტე მესარგებლა ახალი სერვისით და ჩემს ავტომობილში უკვე დამონტაჟებულია ეს სისტემა (IVS). ახლა, მე ვარ მშვიდად, რადგან შეჯახების დროს, თუ ვერ შევძლებ „112"-თან დაკავშირებას, ეს სისტემა ავტომატურად გააგზავნის სიგნალს ცენტრში და შესაბამისი სამსახურები მოახდენენ უსწრაფეს რეაგირებას".

05 „112"-ის საინფორმაციო კამპანიაში დიპლომატიური კორპუსი ჩაერთო

„112"-ის დაკვეთით 2014 წელს ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოიკვეთა პრობლემური სეგმენტები. ერთ-ერთ მათგანს არარეზიდენტები წარმოადგენს. კერძოდ, ტურისტების 76%-მა არ იცის, თუ გადაუდებელი დახმარების რომელი ნომერი მოქმედებს საქართველოში.

აღნიშნული პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, „112"-ის დეპარტამენტმა სხვადასხვა სახის საინფორმაციო კამპანია განახორციელა.

„112"-ის ინიციატივით პროექტი დიპლომატიური კორპუსის ჩართულობით გრძელდება, რაც ვფიქრობთ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კამპანიის საბოლოო შედეგის მიღწევაში.

პროექტის ფარგლებში, 2016 წლის 6 სექტემბერს, „112"-ს შვედეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, მარტინა ქვიქი ესტუმრა.

20 სექტემბერს, „112"-ს საქართველოში აშშ-ს ელჩი იან კელი, სახელმწიფო ანტინარკოტიკული და სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობების საერთაშორისო ბიუროს (INL) უფროსი მაიკ მაკმენი, საფრანგეთის ელჩი საქართველოში პასკალ მენიე და საფრანგეთის შიდა უსაფრთხოების ატაშე ბრუნო ბალდუკი ესტუმრნენ.

23 სექტემბერს, კი „112"-ს საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე, კარლო ნატალი ესტუმრა.

სტუმრებმა „112"-ში განხორციელებული და დაგეგმილი პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღეს.

ვიზიტის ფარგლებში დაიგეგმა სხვადასხვა სახის აქტივობა, რაც ტურისტების ინფორმირებულობის დონეს მნიშვნელოვნად აამაღლებს.

06 შსს საჯარო სკოლებში უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამას იწყებს

შინაგან საქმეთა სამინისტრო, მთელი ქვეყნის მასშტაბით, საჯარო სკოლებში იწყებს საგანმანათლებლო პროგრამას - „უსაფრთხოების ათი გაკვეთილი“.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში, შსს-ს აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე ტრენერების გადამზადება მიმდინარეობს.

შსს-ს საპატრულო პოლიციის, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს და „112“-ის სპეციალურად გადამზადებული თანამშრომლები საქართველოს საჯარო სკოლების მეხუთე კლასის მოსწავლეებთან საინფორმაციო შეხვედრებს გამართავენ და უსაფრთხოების საკითხებზე ესაუბრებიან. უსაფრთხოების 10 გაკვეთილის ფარგლებში, ბავშვები გაეცნობიან საგზაო მოძრაობის, კრიზისულ ვითარებაში მოქმედებისა და ბუნებრივი კატასტროფების დროს რეაგირების აუცილებელ წესებს.

მიმდინარე სასწავლო წელს, საწყის ეტაპზე პროგრამაში საქართველოს 42 საჯარო სკოლა ჩაერთვება. სპეციალურად ამ პროგრამისთვის მომზადდა გზამკვლევი, რომელშიც ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე, ადაპტირებული სახით წარმოდგენილია უსაფრთხოების თემები. მოსწავლეებს ჩაუტარდებათ პრაქტიკული ინსტრუქტაჟი, თუ როგორ უნდა მოიქცნენ მიწისძვრის, ხანძრის, წყალდიდობის, ავტოსაგზაო და სხვა გადაუდებელი შემთხვევის დროს.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოზარდების ინფორმირება უსაფრთხოების წესების შესახებ და მათი ცნობიერების ამაღლება კატასტროფების დროს რეაგირებასთან დაკავშირებით.

პროექტის განხორციელებაში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან ერთად, ჩართულნი არიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და საერთაშორისო ორგანიზაციები.

„112“-ის წარმომადგენლები პროგრამაში 2017 წლის გაზაფხულიდან ჩაერთვებიან.

07 „112“-ის ალტერნატიული ქოლ-ცენტრი

„112“-ის ალტერნატიული ცენტრის გახსნის ცერემონიალი, ქ. რუსთავში, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში გაიმართება.

ალტერნატიული ცენტრის მშენებლობა 8 თვის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა. ცენტრის დაგეგმარებისა და მშენებლობის პროცესი მსოფლიოს საუკეთესო გადაუდებელი დახმარების ცენტრების რეკომენდაციების გათვალისწინებით განხორციელდა. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის ადაპტირებული სამუშაო გარემო, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი და საერთაშორისო სტანდარტებზე აგებული ქოლ-ცენტრი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

ქ. რუსთავის ცენტრის მიზანია თბილისის ცენტრის განტვირთვა და გადაზღვევა. ორივე ცენტრი პარალელურ რეჟიმში იფუნქციონირებს და მიიღებს ზარებს მთელი საქართველოს მასშტაბით, 24 საათის განმავლობაში. ცენტრში განთავსებული ე.წ. ანტისტრესული ოთახები საშუალებას მისცემს დისპეტჩერ-ოპერატორებს შეიმსუბუქონ საკმაოდ რთული სამუშაო პროცესი. გარდა ამისა, შენობაში განთავსებული იქნება ტრენინგ ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიონალი თანამშრომლების მომზადებას.

112

ეს საინტერესოა...

08 ალა ჯალილი

ჩვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში იაპონელი ნაოტო მაცუმურას შესახებ ვწერდით, რომელმაც ფუკუსიმას ტრაგედიის შემდეგ, არ დატოვა მშობლიური ქალაქი და იქ უპატრონოდ დარჩენილი ასობით ცხოველის მოვლა-პატრონობა ითავა, თუმცა ბოლომდე აცნობიერებს, რომ იქ გატარებული ყოველი დღე მის ჯანმრთელობას გამოუსწორებელ ზიანს აყენებს.

დღევანდელ ნომერში, გვინდა მოგითხროთ სირიელი ალა ჯალილის შესახებ.

სირიის ცნობილი მოვლენების შემდეგ, ქალაქი ალეპო ყველა მაცხოვრებელმა დატოვა, რადგან იქ ცხოვრება სიცოცხლისთვის ძალიან საშიში გახდა. მაცხოვრებლებმა მხოლოდ აუცილებელი ნივთების წაღება მოახერხეს, შინაური ცხოველების წაყვანა აზრადაც არავის მოსვლია. ალა ჯალილმა გადაწყვიტა მარტოდმარტო დარჩენილიყო ქალაქში და სასიკვდილოდ განწირული ცხოველებისთვის მიეხედა.

თავდაპირველად ალას 20 კატა ჰყავდა, ერთი წლის შემდეგ მათი რაოდენობა ასამდე გაიზარდა. ჯალილი ყოველდღიურად გადადის მეზობელ სოფლებში, რათა ცხოველებისთვის საკვები მოიპოვოს.

-„ერთ-ერთი დაბომბვის შემდეგ, ჩემთან ტირილისგან თვალებდასიებული პატარა გოგონა მოვიდა და პატარა კნუტი გამომიწოდა. მე შევპირდი, რომ ვიზრუნებ მის ცხოველზე, სანამ გოგონა მშობლიურ ქალაქში არ დაბრუნდება. მას შემდეგ, რაც ყველა ჩემმა ნათესავმა ქალაქი დატოვა, ეს ცხოველები გახდნენ ჩემი მეგობრები" - განაცხადა ალამ.

ახალგაზრდა სირიელი მხოლოდ ცხოველების სიყვარულით არ გამოირჩევა. საომარი მოქმედებების დაწყების დღიდან, მან უამრავი ადამიანი იხსნა სიკვდილისგან და საკვები და თავშესაფარი მისცა მათ. საინფორმაციო სააგენტომ „BBC" სიუჟეტი მოამზადა ალა ჯალილის შესახებ და ქველმოქმედ ახალგაზრდას „ნობელის პრემიის" ლაურეატობაც უწინასწარმეტყველა.

წყარო: www.adme.ru

09 მაშველი

ბელგრადში, მდინარე დუნაის ნაპირზე რესტორანი მდებარეობს, რომლის მეპატრონემ - 51 წლის რენატო გრიბიჩმა ბოლო 15 წლის განმავლობაში 25 ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა, რომლებიც მისი რესტორნის სიახლოვეს მდებარე ხიდიდან თვითმკვლელობის მიზნით მდინარე დუნაიში გადახტნენ.

რენატოს მოტორიანი ნავი მუდმივ მზადყოფნაშია.

-„რესტორანში ყოფნის დროს, მუდმივად ყურადღებით ვარ და არ ვაძლევ ადამიანებს უფლებას, სიცოცხლე საკუთარი ნებით დაასრულონ“ - ამბობს გრიბიჩი.

დაახლოებით 7 წლის წინ, მან წყლიდან 18 წლის გოგონა ამოიყვანა. აღმოჩნდა, რომ ეს გოგონა მის სახლთან ახლოს ცხოვრობდა. ახლა ის ყოველწლიურად მიდის მის რესტორანში, რათა საკუთარი დაბადების დღე აღნიშნოს! 2 წლის წინ კი ამავე გოგონამ რენატო საკუთარ ქორწილში საპატიო სტუმრად დაპატიჟა!

-„ყოველთვის, როცა მას ვხედავ, გული ძლიერად მიცემს! უფლის მადლობელი ვარ, რომ საჭირო მომენტში იქვე აღმოვჩნდი და მისი დახმარება შევძელი“ - ამბობს მამაცი მაშველი.

წყარო: www.cortland.org

10 მადლობა გადარჩენისთვის

მეხანძრე მაიკ ჰიუზმა საშინელი ხანძრის დროს 9 თვის გოგონა - დანიელ დევიდსონი გადაარჩინა. მაშველი ცეცხლმოდებულ ოთახში შევარდა და ბავშვი ალში გახვეული საწოლი ოთახიდან გამოიყვანა.

გავიდა წლები, დენიელმა სკოლა წარმატებით დაამთავრა და გამოსაშვებ საღამოზე თავისი გადამრჩენელი დაპატიჟა.

-„მაიკის ყოფნა ამ ცერემონიაზე ჩემთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. წლები გავიდა და დღესაც მეტირება, როცა ვფიქრობ, რომ ყველაფერი სხვანაირად დასრულდებოდა, მაიკი რომ არა... მაიკ, მე დღეს აქ არ ვიქნებოდი, რომ არა შენ!..“ - ბედნიერებისგან და ემოციისგან აკანკალებულმა გოგონამ სიტყვა დაასრულა და აცრემლებული გულში ჩაეკრა ადამიანს, რომელმაც მას წლების წინ სიცოცხლე აჩუქა.

წყარო: www.mk.ru

იცოდით, რომ...

11 დაპატიმრების უცნაური ფაქტები

 აშშ-ს პრეზიდენტის დაპატიმრება შეუძლია მხოლოდ თეთრი სახლის დაცვის შეიარაღებულ სერჟანტს.

 კალიფორნიის შტატის სისხლის სამართლის კოდექსის #837, 839 და 844 მუხლების მიხედვით, კალიფორნიელ მოქალაქეებს უფლება აქვთ მიადგნენ მოქალაქეს სახლში და დააპატიმრონ იგი, თუ ჩადენილია დანაშაული და სამართალდამცავი ორგანოს არც ერთი წარმომადგენელი ადგილზე ამ დროს არ იმყოფება.

 2013 წელს, მოხუცმა უსახლკარო მამაკაცმა გაძარცვა ბანკი, საცავიდან გამოიტანა 1 მილიონი ამერიკული დოლარი, შემდგომ კი დაჯდა ბანკის კართან და დაელოდა პოლიციის მისვლას. მამაკაცს სურდა, რომ ის დაეკავებინათ და ციხეში ჩაესვათ, რათა უფასო სამედიცინო მომსახურების მიღება შეძლებოდა.



112

www.112.gov.ge